

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“



ზარისხის შიდა
უზრუნველყოფის
მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. საქართველოს კანონი "განათლების ხარისხის განვითარების" შესახებ განსაზღვრავს მექანიზმების სახეებს, რომლებიც გამოიყენება ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოში. ეს მექანიზმები იყოფა ორ ჯგუფად: შიდა და გარე მექანიზმებად. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯი ხელმძღვანელობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებითა და წინამდებარე დოკუმენტით;

1.3. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია განახორციელოს ღონისძიებები სასწავლო პროცესისა და სხვა დამატებითი პროფესიული სტუდენტების სერვისების (მათ შორის საბიბლიოთეკო, მატერიალური რესურსების, ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ეფექტურობისა და სხვა სტუდენტური სერვისების) ხარისხი. ამასთანავე, მუშაობის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის, იზრუნოს პროფესიული მასწავლებლის პროფესიული ღონის მუდმივ ზრდაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარება. დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ PDCA ციკლის მიდგომას.


მუხლი 2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“

- P – Plan - დაგეგმე;
- D – Do - განახორციელე;
- C – Check - შეამოწმე ;
- A – Act - განავითარე (მოახდინე რეაგირება).



მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ. PDCA პროცესი ყოველთვის შეიძლება თავიდან განაალიზდეს და დაიწყოს ახალი ციკლი.



2.1. „დაგეგმვის“ ნაწილის უზრუნველსაყოფად განისაზღვრება მისი საქმიანობის ასპექტები, კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ჩართვის თანმიმდევრობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში; „დაგეგმე“ ნიშნავს ინსტიტუციური ელემენტების შემუშავებასა და განვითარების პროცესების დაგეგმვას: მისიისა და ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, სტრუქტურული ელემენტების განსაზღვრა, პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შემუშავებას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

2.2. „განახორციელე“ გულისხმობს დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას; შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აქტივობების განხორციელებას, კერძოდ;

ა) ძირითადი პროცესები:

პროფესიულ სტუდენტთა მიღება და მათი სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული რეგულაციების სრულყოფა:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესების შემუშავება;
- პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება;
- პროფესიულ სტუდენტთა გზამკვლევის შემუშავება;

სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგის სისტემის შექმნა:

- პროგრამის ადაპტირება/ განვითარება, ცვლილებების დასაბუთება.
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო გეგმის შემუშავება და მის მიმდინარეობაზე კონტროლი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის შექმნა (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაკვირვება და ამ პროცესის შესაბამისი ჩეკლისტების შემუშავება);
- პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მოდულით განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტებისა და მიმართულებების კონტროლი;

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა (დასაქმება და შემდგომი კავშირის უზრუნველყოფა)

- კარიერული სერვისების შეთავაზების პოლიოტიკის განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ბაზის ფორმირება;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის წარმოება.

ბ) დამხმარე პროცესები:

- პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა;
- პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგები, პროფესიული განვითარება;
- პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლი დაკავებულ პოზიციასთან;
- პერსონალის გზამკვლევის შემუშავება;
- საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტურად გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად (ვებ-გვერდი, სასწავლო პროგრამების კატალოგი, სხვა საკომუნიკაციო არხები);
- მატერიალურ რესურსის მოხმარებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის შექმნა (მასალის და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის, პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესები და მექანიზმები);
- ფინანსური რესურსები.

2.3. „შეფასება“ ნაწილის უზრუნველსაყოფად იწარმოება დაგეგმილი და შესრულებული სამუშაოების შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით ;

- თვითშეფასება (ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა);
- მიზნობრივი მონაცემების შეგროვება (პერსონალზე დაკვირვება და საქმიანობის შეფასება; დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა და ანალიზი, ღია შეხვედრები);
- მონაცემების ანალიზი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება რეგულარული შეხვედრებისა და განხილვების საფუძველზე;
- სამოქმედო გეგმის ყოველწლიური ანგარიშები.

2.4. „გადახედვა/გაუმჯობესება“ გულისხმობს შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას:

- ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად;
- წარმატებისა და წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების დადგენა;
- წარუმატებელი ფაქტორების გარდაქმნა გაუმჯობესების გეგმად;
- მაკორექტირებელი გეგმის შემუშავება;
- მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავება;